ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 53-28

"18" თებერვალი 2020 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 28/01/2020; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016675) მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დებულებაში და დებულების:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე-135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;"

2. მე-8 მუხლის:

ა) პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ი" და „ს" ქვეპუნქტები;

ბ) მე-8 პუნქტს, „ო" ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო[1]" და „ო[2]" ქვეპუნქტები:

„ო[1]) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის ფასის გადახდის მდგომარეობის აღრიცხვა და მისი გადახდის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ო[2]) საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე დადგენილი წესის შესაბამისად ნებართვის გაცემა და გაუქმება ელექტრონული მისამართის: www.taxi.tbilisi.gov.ge მეშვეობით;";

გ) მე 8 პუნქტის „პ" „ჟ" „რ" და „ს" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;

ჟ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე-135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით და 135[4] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე მათი გაცემა და საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;

რ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე-135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით და 135[4] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებების პროექტების მომზადება და სააგენტოს უფროსისთვის წარდგენა;

ს) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე-135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით და 135[4] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ინფორმაციის გაგზავნა;"

დ) მე-10 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „გ" ქვეპუნქტი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი მარტიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე